გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

ლელო

№ 81
(11 435)

13 – 16 ოქტომბერი, 2000 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვალერი სარაჯა: ჩვენ შევიცვალეთ ცხოვრების მძიმე პირობები და არა სამშობლო

ოთხი ქართველი ოლიმპიელის, ძალოსნების — მუხრან გოგიასა და ვალერი სარაჯას, მოჭიდაველების — ალექსანდრე ცერეცაძის და გურამ მჭედლიძის სიდნეიში დარჩენამ ქართველ გულშემატკივრებში დიდი ინებათაღლება გამოიწვია. „ლელოს" რედაქციაში დღემდე არ წყდება სატელეფონო ზარები, შემოდის წერილები, გვთხოვენ ვაცნობოთ თუ როგორ გრძნობს თავს, რას საქმიანობს იქ, შორეულ ავსტრალიაში ქართველ სპორტსმენ-ოლიმპიელთა ოთხეული, შეიცვლიან თუ არა მოქალაქეობას ან სამომავლო სპორტულ ასპარეზებს ან სამომავლოდ ეროვნულ ნაკრებებში ითამაშებენ.

იხ. მე–7 გვ.

გაზაფხულამდე სამი ქულა უნდა ვიკმაროთ!

„ჯორჯია ფანგასგიკო!"

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მამუკა კვარაცხელიამ იტალიის ნაკრებთან საქართველოს ნაკრების მატჩის შემდეგ ანონიმურად შეგვატყობინა:

ჯოვანი ტრაპატონიმ ეს სიტყვები პრესკონფერენციაზე წარმოთქვა, ხოლო ერთ-ერთი მოწინააღმდეგის შეკითხვაზე ვის თვლით მთავარ მოწინააღმდეგედ, სახელოვანმა სპეციალისტმა კვლავ საქართველო დაასახელა. იტალიელმა კოლეგებმა დაიჭირეს ეს ფრაზა და იგივე შეკითხვა რევაზ ძოძუაშვილს დაუსვეს (დავით ყიფიანი პრესკონფერენციაზე არ იყო, იგი შეუძლოდ გახლდათ, სიცხე ჰქონდა). ძოძუაშვილმა კი უპასუხა — „მეც ასე ვთვლი, რომ ჩვენ მთავარი მოწინააღმდეგეები ვართ, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ასეთი მსაჯობა არ იქნება".

როგორც ერთხმად აღნიშნავენ ჩვენი იტალიელი კოლეგები, არც ერთი პენალტი რეალური არ იყო, ზოგიერთმა მათგანმა დელ პიერო ბალერინასაც კი შეიდარა. თამაშის შემდეგ სპეციალურად კვითე ჩეენს ბიუგს: რეხვიაშვილს, ხიზანიშვილს და გვარამაძეს პენალტიან დაკავშირებით და ბიუგმა ფიცის ქვეშ აღიარეს: რომ არც ერთი პენალტი არ იყო. გვარამაძემ მითხრა: „ჩვენიშნე დელ პიეროს ზრახვა, რომ იგი „პენალტზე მოდიოდა" და ხელები სპეციალურად გაეწია. მან კი ერთი ფეხი მეორეს წამოდო და წაიკეტა". რაც უნდა ეილაპარაკოთ, ფაქტია, რომ ორივე პენალტი მსაჯმა მოიგონა. როგორია, ამხელა სიფუზტერთო მონსტრი, შინ საქართველოსთან კარგავს ქულებს. პრაქტიკულად რომ ვაკვირდები შანსებს, ამ ეტაპზე, 90(-ით გასული ეიჯვით. რატომ? შემდეგ ჩვენ, რომ ყველა მატჩი შინ მოგვიგო და გამსცელები წაგვეგო, იტალიაში ალეპული ქულა აოკროს ჭეშად შეფასდებოდა". ასე რომ, ამ წერილისათვის მეორე სათაურიც შეგვეძლო შეგვეერჩია მსაჯი — საქართველოს ნაკრები 2-0.

საქართველოს ნაკრებების მატჩების მიმოხილვა იხილეთ მე–3–4 გვ.

ქართულ სპორტს პარლამენტში გულმხურვალე ქომაგი ჰყოლია — ვიზალი ნაზარაძე!

სწორედ ამ დეპუტატის თაოსნობით განიხილეს პარლამენტში გუშინწინ ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზორებისთვის სახელმწიფო ფულადი პრემიის დაუქვითავად გაცემის საკითხი. როგორც ხდება ხოლმე, ამჯერადაც შეეცადა ზოგიერთი „ხელი მოეთბო სპორტსმენთა" ხარჯზე და იგივე შეღავათების გავრცელება მოითხოვა სხვა სფეროზე, მაგრამ ვიტალი ნაზარაძე და მისი მხარდამჭერები შეუვალნი იყნენ — პარლამენტმა შეღავათები მხოლოდ რნეულ სპორტსმენებზე გაავრცელა.

გმადლობთ, ბატონო ვიტალი! გმადლობთ, პარლამენტო!

სპორტის მოძულეები ჭენდენციები საქართველოში!

მკითხველმა იქნებ გაიოცოს კიდეც, ეს თემა თითქოს ამონურულად უნდა ჩაგვეთვალა სიდნეიში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების წარმატების შემდეგ, მაგრამ ეს იქნებოდა თავის მოტყუება, რეალობად სასურველის წარმოსახვა, რაც მხოლოდ ზიანს მოუტანდა ქართული სპორტის ხვალინდელ დღეს. პრობლემები ხომ ისევ რჩება? აი, რა არის თავიდათავი.

თვალყურს ვინც ადევნებს თუ რა ხდება ცალკეულ ქვეყნებში, სიდნეის შემდეგ თავიანთი წარგზავნილების თამაშებში გამოსვლის შეფასებისას, დაგვეთანხმება, რომ ყველგან ძალიან სერიოზულად აანალიზებენ შედეგებს. ამ ოლიმპიადამ, ალბათ როგორც არასდროს, ისე გამოაღვიძა ერებისა და ქვეყნების თავმოყვარეობა, ხელისუფლება ბევრგან დაფიქრა მთელი მსოფლიოს თვალწინ სპორტისადმი მათი დამოკიდებულების გაშუქებამ. ეს განსაკუთრებით ეხება ოლიმპიადაში მონაწილე 200 ქვეყნიდან იმ 120 ქვეყანას, რომლებმაც ერთი მედალიც კი ვერ მოიპოვეს თამაშებში, 80 მედალოსნიდან კი, მცირე გამონაკლისის გარდა, ცხადია, ბევრია უკმაყოფილო, რომ თავი მაინცდამაინც დიდად ვერ გამოიჩინა. მაგალითად, მილიარდამდე მოსახლეობის ინდოეთს მხოლოდ ერთი „ბრინჯაო" ხვდა, ასევე თითო ბრინჯაოს მედლით დატოვეს სიდნეი ისრაელმა, ჩილემ, ისლანდიამ, კუვეიტმა, სომხეთმა...

საქართველო იმ ქვეყნების სათვალავში შედის, რომლებმაც თავიანთი შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწიეს. მაგრამ, ჩვენ, საკუთარ სამზარეულოში უკეთ ჩახედულებმა, კარგად ვიცით, რომ ეს მიღწევა მეტიც იყო, ვიდრე ვარაუდი შეიძლებოდა. პოტენციალს არ გგულისხმობ. უსახსრობის ის მძიმე წლები მიდგას თვალწინ, ტანჯვიით რომ გამოიარა ქართულმა სპორტმა გაწვლილ ოლიმპიურ ციკლში. ერთი უდავოა, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ეროვნული ოლი-

იხ. მე–2 გვ.



ეროვნულ ოლიმპიურ თავაუშვებამდე 3 წელიწადი და 10 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

ე. შეკარდაძე

ქ. თბილისის მერმა ვალო ზიდელაშამ გუშინდელ რადიოინტერვიუში თქვა:

„2004 წელი კარზე მაღე მოგვადგება. აქედანვე უნდა მოემზადონ ჩვენი სპორტსმენები მომავალ ოლიმპიურ თამაშებში რომ წარმატებით გამოვიდნენ. ერთ-ერთ ოლიმპიურ სახეობის თბილისის მერია და საკრებულო ითავებს და დაადგინესებს მოეცი ამ ოთხი წლის განმავლობაში.

სიდნეიდან დაბრუნებულ ყველა ჩვენს ოლიმპიურ პრიზიორს მერია შეუძენს საცხოვრებელ ბინას თბილისში. ვფიქრობ, დედაქალაქის მოსახლეობა ამაყოფილი დარჩება თუ ქართველ ოლიმპიელთა გმირობას დაგიფასებთ“.

სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

პირველი გვერდიდან

მპიური კომიტეტის კურსმა, მათმა. შეთანხმებულმა მუშაობამ, გაამართლა. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ სრული მატერიალური მხარდაჭერა რომ ყოფილიყო, როგორი იქნებოდა საბოლოო შედეგები. ფაქტობრივად, ჩვენ სრული პოტენციალი ვერ გამოვავლინეთ და რაც დაკარგეთ, დაკკარეთ მხოლოდ მატერიალური ხელმოკლეობისა და ქვეყანაში სპორტის ტოტალური მოძულების იმ ტენდენციების გამო, რასაც ჩვენი არაერთი წერილი მიეძღვნა.

დაეუბრუნდეთ ქვეყნების რეაქციას. დელეგაციების შინ დაბრუნებას, როგორც ითქვა, უმალვე მოჰყვა შეფასებები. არც ისინი გაჩუმებულან, ვინც უმალვეს წარმატებას მიაღწია და არც ისინი, ვინც გულდაწყვეტილები დარჩენ. ხომ გახსოვთ, რა თქვა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ოლიმპიელებთან შეხვედრაზე: „თქვენი წარმატებები ასეთი შთამბეჭდავიც რომ არ ყოფილიყო, ჩვენ მაინც შევიკრიბებოდით, რათა შეგვეჯაბებინა შედეგები და ერთად გაგვეცალჯა, თუ რა და როგორ უნდა გაკეთებულიყო სპორტის განვითარებისათვის“. ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი. სრული ასი პროცენტით დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენი სპორტსმენები, რომ სიდნეიდან უმედლებად დაბრუნებულიყვნენ, მიზეზების განსასჯელად და გასაანალიზებლად, მით უფრო საქართველოში სპორტის მომავალი განვითარების გზების დასადანშად, არანაირი შეკრება არ შედგებოდა. კი ბატონო, ახლა ვინ გვიშლის? წინ ხომ მომავალი თამაშებია. ისე, ჩვენც ვიკრიბებით, ვაწყობთ საზეიმო მიღებებს, მადლობას ვეუბნებით ოლიმპიელებს და სხვებსაც, ვინც მათ წარმატებაში შეიტანა წვლილი, მაგრამ ვდუმვართ და არაფერს ვამბობთ, მით უფრო კვლავაც არაფერს ვაკეთებთ საიმისოდ, რომ ათეწში უკეთ ვიასპარეზოთ, ვიდრე სიდნეიში. მომავალი თამაშებისთვის მზადება ხომ უკვე დაინყო. დიდმა ბრიტანეთმა, მაგალითად, უმალვე გამოუყო მილიონობით გირვანქა სტერლინგი მომავალი ოლიმპიადის მზადებისათვის უნკვეტი ციკლის გააკტიურებლად.

მოკლედ, საქართველოში სპორტის მოძულების ტენდენციებისათვის წერტილის დასასმელად ისევ არაფერი კეთდება. სიდნეიში მოპოვებული წარმატებით ეიფორიაში მყოფებს გვავიწყდება, რომ ქართულ სპორტში უამრავი პრობლემა რჩება, უპირველესად მატერიალური, გვავიწყდება, რომ ის სამაყეფ ფული ღირს, რომელსაც ჩვენი ოლიმპიელების 6 მედალის გამო განვიცდით. ისე არ უნდა მოხდეს, რომ სიდნეი ტბილ მოსაგონრად გაგვიხდეს ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ.

მაინც რა უნდა გაკეთდეს „ცხელ გულზე“? ვფიქრობთ, აქედანვე და არა ერთი, ორი ან სამი წლის შემდეგ, სპორტის სახეობათა მიხედვით უნდა შედგეს იმ ოლიმპიელკანდიდატთა სია, რომლებსაც შანსი აქვთ ისასპარეზონ ათენში. თბილისში, გლდანში გვაქვს სპორტის დეპარტამენტის ოლიმპიური რეზერვის სასნაკლებლის შესანიშნავი კომპლექსი, სადაც შეიძლება გაიხსნას „ოლიმპიური მომზადების ცენტრი“. ეს საკითხი დროულად თუ გადაწყდება, შეიძლება ითქვას, რომ ათენისთვის მზადებაც დროულად დავიწყეთ.

თენგიზ გაჩეჩილაძე

დასაბეჭდი ეს. ოლიმპი №56-61, 63-65, 67-71

ზურაბ უსუფაშვილი და „რუსთავი-2“ – მემატიანე

ამ მეცირერიკოვან კინო-ფოტო დოკუმენტალისტთა შორის, რომლებიც დამოუკიდებელ საქართველოს სპორტმენთა ოლიმპიურ დოკუმენტურ მატიანეს ქმნიან, ქართული სპორტის მეცხრეოვანი ამირიდან ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის სპორტულ მიმომხილველს ზურაბ უსუფაშვილსაც მოიხსენებენ. ამ ჟურნალისტის მიერ სიდნეიში

საქართველოს ოლიმპიური გუნდი ბერლინში ასნლეულთან

გამართულ ოლიმპიურ თამაშებზე შეგროვილი ხელვითი მასალა უთუოდ ღირსეულ ადგილს დაიკავებს სიდნეიში შექმნილ ნამუშევრებს შორის.

არადა, როგორი უმძიმესი იყო ამ ჟურნალისტის შრომა ოლიმპიადის დედაქალაქში. ტელეკრემპორტიორებს საგანგებო (ცხადია, ეს დიდი ფული ჯდება) აკრედიტაცია ესენიდებათ, რომ თავისუფლად იმოქმედონ. ზურაბი კი ჩვეულებრივ ჟურნალისტად იყო აკრედიტებული, რაც უაღრესად ართულებდა მის შრომას. და მაინც, „ფარულად“ მან მოახერხა ჩვენი ოლიმპიელების გამოსვლების ასახვა ვიდეოფირზე. „რუსთავი-2“ კი, როგორც შინდაბრუნებულებმა შეეტყვნო, ოპერატიულად გადასცემდა სიდნეიდან ამ ალტოის მიერ მიწოდებულ ხედვით მასალებს, რომლის ასევე ოპერატიულად სარეღეო ხაზით გადმოგზავნა ოლიმპიადიდან, მისთვის დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული.

სტუმრად ამოდგომოს

მთავარი ამოცანა შესრულებულია. ისტორია სათუთად შემოინახავს დაუღალავი ჟურნალისტის ზურაბ უსუფაშვილის მიერ სიდნეიში ასახულ ქართველ ოლიმპიელთა გამოსვლების ფასდაუდებელ ცოცხალ კადრებს.

თენგიზ გაჩეჩილაძე

იქნებ მიბაძოს ზესტაფონს ქუთაისმა?

საქართველოს სამბოს ოსტატები სამივე ასაკში, რომ ბოლო წლები ბრწყინვალედ ასპარეზობენ საერთაშორისო სარბიელზე, ყველამ კარგად იცის. ჯაბუკებმა და ახალგაზრდებმა აჭეერადაც გამოიჩინეს თავი. ისინი ამ დღეებში ლას-პალმასში გამართულ მსოფლიო პირველობაში მონაწილეობდნენ და შინ ხელდამშვენებულნაც დაბრუნდნენ.

მაგრამ ჯერ ის ვთქვათ, რომ პირველობაში მონაწილეობისთვის ჩვენი დელეგაცია არასრული შემადგენლობით გიემგზავრა ზემოხსენებულ ცნობილ საკურორტო ქალაქში — ნაცვლად 20-ისა, სახლრები მხოლოდ 9 მოჭიდავისთვის გამოინახა. სამწუხაროა, რომ ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი სამბისტი ქუთაისელი ტუუბები თამაზ და თეიმურაზ ნეფარიძეები, რომლებიც ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები არიან, შეჯიბრებაზე ვერ მოხვედნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქუთაისში არ გამოინახა მათი დაფინანსების შესაძლებლობა. აი, ზესტაფონში კი, როგორც ყოველთვის, აჭეერადაც მოახერხეს ეს პრობლემა — ორი ფალავანი მიავლინეს ლას-პალმასში და ორივე მსოფლიო პირველობის პრიზიორი გახდა. საქართველოს სამბოს ფედერაციაც მადლობას უხდის ზესტაფონის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისთვის. ნუთუ ის, რაც შეუძლია ზესტაფონს, არ შეუძლია ტრადიციულად ქართული სპორტის მეორე ცენტრს — ქუთაისს? დაეჯერებელია!

ოთხი — II და ამდენივე — III პრიზიორი, ასეთია ზემოხსენებულ პირველობაში ჩვენების მონაგარი. არ დაგავიწყდეთ: 9-დან — 8 პრიზიორი! ეკ ისინიც: **ჯაბუკები.** მეორე პრიზიორები 52 კგ — შმაგი სონეშვილი (მცხეთა), 60 კგ — ვახტანგ ხოსოშვილი (საგარეჯო), მესამე პრიზიორები: ძმიმე წონა — პაატა ნოიჩაძე (ზესტაფონი), 70 კგ — ალეშა ბიზიკაშვილი (მცხეთა), 75 კგ — გიორგი კაკოიშვილი (ზესტაფონი); **ახალგაზრდები.** მეორე პრიზიორი 90 კგ — მირიან ბაკლიაშვილი (მცხეთა), მესამე პრიზიორები: 74 კგ — ლევან ანთაძე (ფოთი), 100 კგ — ზვიად წიკლაური (თბილისი). ჩვენს დელეგაციას ხელმძღვანელობდა ბეჭრთნელი ემილ რაში. ახლა წინაა მოზრდილთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ჩატარდება 24-29 ნოემბერს კიევში. გამოინახება კი სახლრები? ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ!

ტ. ბაძრაკაძე

მორიგი სიქველე აჭარაში

ასეთი უზრუნველყოფილი შეჯიბრება დღეს ჩვენში წარმოდგენის ფარგლებს სცილდება, ვინაიდან ალიარებენ აქეს იმის საშუალება, პირველობის მონაწილეებს „ქართული გაგებით“ რომ უმასპინძლოს და გაიღოს მათი კვების, სასტუმროსა და მგზავრობის ხარჯები, მაგრამ ღვთის წყალობით, მაინც ყოფილან სპორტის ნამდვილი ქომაგნი, რომლებიც არ გაურბიან ასპარეზობის მოლიან დაფინანსებას. ასეთი აქეა, ამას წინათ, ჩატარდა აჭარის დედაქალაქში, რომელიც საქართველოს XI ლია ჩემპიონატს მასპინძლობდა სპორტულ ნარდში და ტურნირის ატრაქციონი აჭარისა და საქართველოს ნარდის სპეციალისტებთან ერთად, აჭარის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილემ, აჭარის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ ბაკურიძემ და შპს „ბაკურმა“ ითავა ეს. დაწესებულები იყო პრიზი — 400 ამერიკული დოლარი, გამოსცეს გემოვნებით გაფორმებული ფერადი ბუკლეტი... ასპარეზობაზე, რომელიც სასტუმრო „მესხეთში“ მიმდინარეობდა, საქართველოს მონარდეებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის პროფესიონალი მონარდეებიც. სპორტულ ნარდში საერთაშორისო წესებით ჩატარებულ პრეტენდენტებმა ნახევარფინალში დაუპირისპირნენ ერთმანეთს: აჭარელი ამირან სირაბიძე და სიღაშ გაბრიელიანი (სომხეთი). აგრეთვე თბილელი ხვიჩა კუტრანიძე და ანდრანიკ არუთინიანი (სომხეთი). ფინალი კი ა. სირაბიძესა და ხ. კუტრანიძეს შორის შედგა და იგი დამთავრდა ანგარიშით 13:12 ბათუმელი მონარდის სასარგებლოდ. მაგრამ გადაეცა ჩემპიონის ოქროს კამათელი.

სომხეთის მოთამაშეებმა კომერციულ ტურნირში ტოლი არავის დაუდეს და ფინალში ვენეციის დიდი ტურნირის გამარჯვებული არტურ მურადიანი და ავეტის როსტომიანი გავიდნენ. გამარჯვება პირველს დარჩა. სომხეთი — საქართველოს აბხაზეთ მატჩში (4,5:4,5) მასპინძლობაგან გიმარჯვეს თეიურ ჭერეცაკიძემ, აკაკი კიკალეიშვილმა, ომარ დავლიანიძემ, დავთი ბერიძემ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თენგიზ ბაკურიძემ საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა აკაკი კიკალეიშვილა და ვიეკ-პრეზიდენტმა თეიმურ ჭერეცაკიძეს აღუთქვა, რომ მაღე ბათუმში აშენდება „ნარდის სახლი“ და შ.პ.ს. „ბაკური“ მომავალში მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებზე — მსოფლიო ჩემპიონატს და სხვა, მიაღწევს ქართველ მონარდეებს. საერთოდ, მეტწილ სპონსორობას გაუწევს ჩვენში ამ თამაშის მოყვარულები.

***სურათები:** საქართველოს 2000 წლის ლია ჩემპიონატის გამარჯვებული ამირან სირაბიძე (მარცხნივ); კომერციული ტურნირის გამარჯვებული არტურ მურადიანი.*

13-15 ოქტომბერს „ლაგუნა-ვერეს“ სანყლოსნო კომპლექსში ჩაბარდება თბილისის ღია ჩემპიონატი ცხოხეთის წარმომადგენელთა მონაწილეობით სინქრონულ ცურვაში. ჩემპიონატი დღეს, 13 ოქტომბერს, საზეიმოდ გაიხსნება 13 საათზე.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის სამმართველო სამსახური

ხელგაურთი; იგივენი და ერთი ბათუმური

თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში დაიწყო საქართველოს ვიე ხელმძღვანელთა მეოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც, ტრადიციისამებრ, 5 დედაქალაქური და ერთი ბათუმური კლუბი ასპარეზობს.

მიუხედავად იმისა, რომ გათამაშების ფავორიტის, სტუ-ს გუნდის წამყვანი ხელმძღვანელები ინფორმაციის ნაკლებობის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილემ, აჭარის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა თენგიზ ბაკურიძემ და შპს „ბაკურმა“ ითავა ეს. დაწესებულები იყო პრიზი — 400 ამერიკული დოლარი, გამოსცეს გემოვნებით გაფორმებული ფერადი ბუკლეტი... ასპარეზობაზე, რომელიც სასტუმრო „მესხეთში“ მიმდინარეობდა, საქართველოს მონარდეებთან ერთად მონაწილეობდნენ სომხეთის, რუსეთისა და თურქეთის პროფესიონალი მონარდეებიც. სპორტულ ნარდში საერთაშორისო წესებით ჩატარებულ პრეტენდენტებმა ნახევარფინალში დაუპირისპირნენ ერთმანეთს: აჭარელი ამირან სირაბიძე და სიღაშ გაბრიელიანი (სომხეთი). აგრეთვე თბილელი ხვიჩა კუტრანიძე და ანდრანიკ არუთინიანი (სომხეთი). ფინალი კი ა. სირაბიძესა და ხ. კუტრანიძეს შორის შედგა და იგი დამთავრდა ანგარიშით 13:12 ბათუმელი მონარდის სასარგებლოდ. მაგრამ გადაეცა ჩემპიონის ოქროს კამათელი.

სომხეთის მოთამაშეებმა კომერციულ ტურნირში ტოლი არავის დაუდეს და ფინალში ვენეციის დიდი ტურნირის გამარჯვებული არტურ მურადიანი და ავეტის როსტომიანი გავიდნენ. გამარჯვება პირველს დარჩა. სომხეთი — საქართველოს აბხაზეთ მატჩში (4,5:4,5) მასპინძლობაგან გიმარჯვეს თეიურ ჭერეცაკიძემ, აკაკი კიკალეიშვილმა, ომარ დავლიანიძემ, დავთი ბერიძემ.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სტუ	5	5	0	0	231:146	10
თბილისი	5	3	1	1	141:138	7
მამული	5	3	1	1	145:149	7
მენაკოლეჯი	5	2	0	3	153:171	4
ასკ	5	1	0	4	134:163	2
მარიანი	5	0	0	5	143:180	0

ფეხბურთი
ერთიანი ეროვნული ფეხბურთისა
FOOTBALL FEDERATION GEORGIAN

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

იტალიელებთან მატჩი თამაშით არ წაგვიგია

ანკონა. „დელ კონეროს" სტადიონი. 26 ათასი მაყურებელი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: იტალია — საქართველო 2-0

ITALIA: ტოლდო, კანავარო, ნესტა, ბერტოტო, ალბერტინი, დი ლივიო, ფიორე (ბანკარო, 76), კოკო, ტოტი (მონტელა, 83), დელ პიერო, დელვეკიო (გატუზო, 52).

SAQARTVELO: ბეგარამაძე, ხიზანიშვილი, სილაგაძე, კალაძე, კობიაშვილი, რეხვიაშვილი, ნემსაძე, ყავლაშვილი, ქეცბაია (მენთეშაშვილი, 69), ქინქლაძე (ჯამარიული, 61), ა. არველაძე (დემეტრაძე, 61).

გოლები: დელ პიერო (47 პენ., 88. პენ.)

გაფრთხილება: პერტოტი, ტოტი.

მსაჯი: კარლ ერიკ ნილსენი (შვედეთი).

უყურეთ დედლაინი: ენნესს უოლკერი (შოტლანდია).

ნათქვამია, თამაშს ფეხბურთელები იგებენ, ხოლო ანგრევ მწერონელები. იტალია — საქართველოს მატჩის შემოხვევაში კაცი უმაჯური და დაუნახავი უნდა იყო, ასეთი დასკვნა რომ გააკეთო. თურმე, მწერონელები „ლეტეტს" მუშაობას (მხედველობაში გვაქვს ყოფილ-ძოძუაშვილი), დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია დღ, თუ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ასეთი პროგრესით განაგრძო გამოსვლა, მრავალი საფეხბურთო ასოციაცია მოგვბაძავს, თუმცა, ეს უკვე სხვების პრობლემაა.

ანკონაში ოთხი წლის წინანდელი ისტორია განმეორდა. მაშინ არიო საკის „სკუადრა აძურის" პერუჯაში საკმაოდ გაბუქალალნადი, იგივე ნემსაძეს, ქეცბაიას არაერთხელ შეეძლოთ მასპინძელთა ტყვიაგაუმტარი ტოლფოლა კარის დალაშქრა, მაგრამ... ახლაც, ჯოვანი ტრაპატონისეულ ნაკოტს ტელი არაფერში დავუდეთ, პირველ ტაიმში დრო და დრო უპირატესობასაც ვფლობდით. ასეთი რამ „ბაუბედო" მსოფლიოს სამეზოს ჩემპიონებს, თანაც საშინაო მატჩში, სახუმარო საქმე არაა და ყოველივეს მიდწევა, მხოლოდ ძალთა დიდი მობილიზაციით, უკეკინანესი ტაქტიკით და უმაღლესი სათამაშო ფიზიკალნინი შეიძლება.

როდესაც მატჩის წინ ჰიმნის მოსასმენად გამწკრივდნენ, დაიკვირეთ ჩვენი ბიჭების რწმენით აღსავსე თვალები და თავის თავზე დარწმუნებულ სახეებს? ისინი ერთი მიზნისათვის გამოფდნენ „დელ კონეროს" მინდორზე — როგორც ტოელი ტოლს შესაჭიდაოდნენ მეტოქეს. წარმოგვიდგენია, რამხელა შრომა დახარჯეს ჩვენმა მწერონელებმა, მოთამაშეები ასე რომ განეწყოთ. დაუმატეთ ახლა ამას ძალიან ჭკვიანად შერჩეული სათამაშო ტაქტიკა და ქართველი ფეხბურთელების მაღალი საშუმარეულებლო ოსტატობა. ყველაფერმა ამან საბოლოოდ მოგვაც ის, რომ ოქტალიდან, მარცხის მიუხედავად, ჩვენი ნაკრები თავაწეული გამოემგზავრა.

მავანნი შეგვედავებიან, ასეთი მაგრები თუ არიან ქართველები, რატომ ვერ მოახერხეს ანკონადან თუნდაც ქულის წამოღება? მიზეზს ორს დავასახელებთ: ეროს ჰკვია ფორტუნა, მეორეს კარლ-ერიკ ნილსენი. დიახ, იმ დღეს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს აშკარად არ სწყალობდათ ბედი. გავიხსენოთ, რამდენი საგოლე მომენტი გაუცუდდათ ბრწყინვალედ თოთამაშე გიორგი ნემსაძეს, თემურ ქეცბაიას, არჩილ არველაძეს, გიორგი ჯამარიულს, მიხეილ ყავლაშვილს, ერთხელ ტოლფოლს კარს სანთოფოოდ დაეშუქრა ჩვენი ლიბერო — სილაგაძეკ.

მეორე მიზეზი, როგორც ვთქვეთ, შვედი არბიტრია. ობიექტურად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, მეორეში მკეთრად „მოგვიჭირა", არ ამოგვასუნთქა და ფინი ბენალტითაც „დაგვასაუერა". (საეროოდ, მსაჯის მოქმედებაზე კომენტარს, შეძლებისდაგვარად ვეროდებით ხოლმე, მაგრამ გუული მაინც მოვიოხოთ. წინა დღით ასეთი „უმანიტარული დახმარება" მიიღეს ჩვენმა 21-წლამდელებმა. ახლა ასეთივე საჩუქარი — ტრაპატონის შეგიორდებმა).

ასეი თუ ისე, მასპინძლებმა სამი ქულა მოიოვეს, მაგრამ ყველამ თვალნათლივ დავინახეთ, რომ „სკუადრა აძურასთან" ჭიდილი შეიძლება, მით უმეტეს, მასთან საპასუხო მატჩს შინ ვითამაშებთ. მოაგროა, არ მოგდუნდეთ, არ მივეცეთ ეიფორიას და საგაბარ შეხვედრებისთვის ახლავე მოვემზადოთ. შემდეგი მატჩი ჩვენებს საშინაოდ აქვს — 24 მარტს. ეგებ ამ დროისთვის კაკეში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მშენებლობაც დამთავრდეს...

ჯემალ ბიკაშვილი

P.S.

მატჩის შემდეგ ჯოვანი ტრაპატონი იტყვის: „საქართველომ მართლაც დაგვანახვა, რომ ის ჩვენი ყველაზე სახიფათო მეტოქეა ჯგუფში".

კახი კალაძე

შეუცვლელი არავინაა...

როცა ანკონადან იტალია — საქართველოს ეროვნული ნაკრებების მატჩის ტელეგადმოცემას ვადევნებდით თვალს, სინანულის გრძნობა არ გეტოვებდა — აშკარა იყო, რომ ჩვენები აგრესიული ტიპის ფორვარდების ნაკლებობას განიცდიდნენ. არადა, სანამ ლიტა — იტალიის ტერნენი გაეგზავნებოდა, ქართველთა ნაკრების მწერონელების წინაშე ეს პრობლემა, თითქოსდა არ უნდა დამდგარიყო. მოულოდნელად, გამგზავნების წინ ცნობილი გახდა, რომ აიაქსელი შოთა არველაძე და მოსკოვის ლოკომოტიველი ზაზა ჯანშია ტრავმის გამო ამ მატჩებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. ამ გარემოებამ, ცხადია, გუნდში ნერვიულობა შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ფიფიან-ძოძუაშვილის დუეტი სიმშვიდეს ინარჩუნებდა და აცხადებდა — გამოკლებული ფეხბურთელების შემცველობში მოიძებნებიანო, აშკარა იყო მოულენთა ასეთ მეშმობრენებს ისინი არ ელოდნენ. არადა, მოდით ეიყოთ გულახდილნი, ნიუ-ფანდინ ბერი რომ მომხდიყო, სერიოზულად დავშვდები", ამიტომ ექიმებმა დასვენება მირჩიესო.

არ ვიცი, ვინ როგორ, ჩვენ კი ეგეი შეგვეპარა ზაზას გულწრფელობაში და, როგორც „ლოკომოტივის" ფეხბურთის" 6 ოქტომბრის ნომერში ვიტალინმბოდოთ, მოსკოვში ჩვენ საკუთარ კორესპონდენტს არადი სმირნოვს ვთხოვეთ ჩერქმოზოვთან, რეანიგზელთა სტადიონზე გამგზავრებულიყო და ბოლოს და ბოლოს დაეზუსტებინა ჯანშიას ტრავმის საკითხი. ჩვენი კორესპონდენტის ინფორმაციით, ქართველი ლეგიონერი რუს თანაგუნდელებთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობდა და მას ტვინის შერყევის არაფერი ეტყობოდა...

ალბათ, ყველაფერი ნათელია: ჩვენს თანამემამულეს არ ხერხ საკარიელის საბელთან ასპარეზობა. ეფიქრობთ, ამით, პირველ რიგში, იგი საკუთარ რეპუტაციას ენგმს. ყველას გვახსოვდეს შეუცვლელი არავინაა!

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

ანონსი

შემადგენელი ლიგა, VIII ტური

14 ოქტომბერი

მსაჯები და ინსპექტორები

კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ): მთავარი მსაჯი — ზ. ანიაშვილი, ასისტენტები — რუსიშვილი, რაზმაძე, მეოთხე მსაჯი — სანაია, ინსპექტორი — ა. დურსუნიშვილი.

ვიტა-ჯორჯია — ლოკომოტივი: მთავარი მსაჯი — ა. კრიჭაშვილი, ასისტენტები — სამხარაძე, ცირდავა, მეოთხე მსაჯი — ა. შალამბერიძე, ინსპექტორი — გ. ფირცხალავა.

დილა — დინამო (ოხ): მთავარი მსაჯი — ა. შილაკაძე, ასისტენტები — ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე, მეოთხე მსაჯი — დოგრაშვილი, ინსპექტორი — ნ. კაკულია.

ზერანი — სიონი: მთავარი მსაჯი — კ. მესხი, ასისტენტები — გაბრიაძე, კიკაბიძეშვილი, მეოთხე მსაჯი — მეშკოვი, ინსპექტორი — ვ. ელოშვილი.

იბერია — ტორპედო: მთავარი მსაჯი — ს. კვარაცხელია, ასისტენტები — ელიკაშვილი, დოლიძე, მეოთხე მსაჯი — ჭკადრიძე, ინსპექტორი— ა. მილნესკი.

გორდა — თსუ: მთავარი მსაჯი — მ. მალადურაძე, ასისტენტები — მიქელაძე. ბრეგვაძე, მეოთხე მსაჯი — ორდინიძე, ინსპექტორი — მ. ლაკაბიძე.

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
ტორპედო	7	7	0	0	12-2	21
ლოკომოტივი	7	6	0	1	19-4	18
ვიტ ჯორჯია	7	4	2	1	10-3	14
დინამო (თბ)	7	4	0	3	8-10	12
მერანი	7	3	2	2	11-9	11
გორდა	7	2	4	1	8-11	10
თსუ	7	3	0	4	10-13	9
დილა	7	2	1	4	6-12	7
სიონი	7	2	0	5	8-11	6
კოლხეთი	7	2	0	5	8-11	6
დინამო (ბთ)	7	2	0	5	7-12	6
იბერია	7	0	1	6	1-11	1

გაგრძელება იქნება...

დასრულდა სანაკრებო ციებცხელება, ჩაცხრა ენებთათვლელი და დროა შინაურ სარბიელს მივუბრუნდეთ. VIII ტურის ექვსი მატჩით გაგრძელდება. XII ეროვნული ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის გენდერბისათვის. ბევრი მთავანი ცდილობდა ეს ორკვირიანი შვებულება ნაყოფიერად გამოიყენებინა. მიუხედავად ამისა, რომ ყველას ყურადღება ნაკრებებისკენ იყო მიპყრობილი, კლუბებში საწერნელო მუშაობა არ შეწყვეტილა. ნაკრებების ფეხბურთიელები და მწერონელები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. ლეგიონერები ეცხოვნში მიმოფაზრნენ. ახლა მომავალი წლის მარტამდე ეროვნული ჩემპიონატი და თასის გათამაშება იქნება ჩვენი საფიქრალი. თუმცა, არც ნაკრება გუნდების მატჩები დგებვიწდება, მით უფრო, რიცა ოთხივე შეხვედრამ სალაპარაკო და განსაკვლი ბლომად დაგვიტოვა. XII ტურში სანტტრესო და სანახავი საკმაოა. უპირველესად ფოთში გასამართი მატჩია გამოსაყოფი. „ალოტეთს" და ბათუმის „დინამოს;" უწყვეტილად დაბალი ადგილები უკავიათ სატურნირო ცხრილში, ისინი მხოლოდ სამტრედიელებს უსმენენენ, საერთო მაჩვენებლებიც თითქმის იდენტური აქვთ და სწორედ ეს მატჩს შეხვედრას განსაკუთრებულ ინტერესს და დაძაბულობას. კოლხებიც და აკარლებიც შეეცდებიან გაიუმჯობესონ სატურნირო მდგომარეობა, ენახოთ, ვის უკეთ გამოუვა ეს. ტურში ერთმანეთის შეზობლად მყოფი კიდევ ორი წყვილის შერკინებაა. რუსთავში „გორდა" თსუ-ს ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში მდევარს ერთიბაშად 4 ქულით გაუსწრებს. „გორდა" შინ კარგად თამაშობს. თსუ-მ კი უხერხო სტარტი შემდგომ მდგომარეობა შესამჩნევად გამოისწორა და ახლა ქულების მოპატებაზეც არ იტყვის უარს. გამორჩეული შეხვედრა კი მეტეთაში გიმართვება, „ვიტ ჯორჯია", „ლოკომოტივს" მიიღებს. „ლოკომოტივს" ლიტეტარ-იტალიური ლაშქრობიდან 7 ფეხბურთიელი და რაც მთავარია მწერთნელი რეგაზ ძოძუაშვილი დაუბრუნდება, შეხვედრა უშველათო და დაძაბული რომ იქნება, ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. შენარჩრუნებს „ლოკომოტივი" ოთხქულიან უპირატესობას, თუ „ვიტ ჯორჯია" ისარგებლებს რკინიგზელთა დაღლილობით? მოკლედ, კარგი თამაში გველს, ნამდვილ ლიდერთა პაექრობა. თბილისის „დინამო" გორში „ალიასთან" „იჭიდავებს". ნაკრებთან მყოფ რეგაზ არველაძეს ორკვირიან ანგარიში ქართველებს ჩაბარებენ. „სიონი" აკვალაში „მერანს" ცხტემრება. თბილისელები ლიდერებში გარეკას ლამობენ და ფეხკელა, ბოლნისელებს არაფერს დაუთმობენ, შეძლებს თუ არა „სიონი" „მერანთან" გამკლავებას მატჩის საბოლოო შედეგი დაფიქსირებს. კიდევ ერთ შეხვედრაში გეოგრაფიული მეზობლები სამტრედიელები და ქუთაისელები დადგებიან პირისპირ. ხვალამდე „იბერია" ლობათ გაარკვევს სად მიიღებს სტუმრებს, ზესტაფონში თუ ბაშერში, თუმცა ჩემპიონისთვის სტადიონს გასაკეთებელი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, იგი მატჩის უდიდი ფავორიტია.

გთამაშების ცხრილი გვარიანი სიმჭიდროვეა და ტუმრა შეიძლება მასში გარკვეული ცვლილებები გამოიწვიოს, მოსალოდნელია სიურპრიზებიც.

რეგიონული ლიგა IV ტური

დასავლეთის ზონა

მერცხალი — ინტერი 2-2
სულორი — სალხინო 3-2
მზიური — დინამო-2 (ბთ) 2-0
დინამო (სხ) — გურია 2 1-1
სკეტი — კოლხეთი-2 1-0
სამეგრელო — ლაზიკა 1-4



რუბინეთი: ჯგუფში მეორენი

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში მასპინძლებთან, რუმინელებთან დიდი ანგარიშით 0-5 დამარცხდა და ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა. ფინალურ ეტაპზე რუმინელები ითამაშებენ და დამსაჯურებელადაც.

8 ოქტომბერი, კლიუეტი, სტადიონი კიტროლული.

საქართველო — ალბანეთი 1-0

საქართველო: თოთლაძე, გ. ახალაია, ექონია, ჯეელიძე, მ. ლომაძე, მარცვალაძე, ჭიღლაძე, თ. ბურნაძე (ფირცხალავა), მოდებაძე, კაშია (მაჭავარიანი), გუგუნაძე, სახოკია, გოლი: 1-0, გუგუნაძე (75).

გაფრთხილება: ჭელიძე

გაძევება: ჭელ.ძე

10 ოქტომბერი, კლიუეტი, სტადიონი კიტროლული.

საქართველო — რუმინეთი 0-5

საქართველო: თოთლაძე, ახალაია, ექონია, კაშია, ლომიძე, მარცვალაძე, ჭიღლაძე, გუგუნაძე, სახოკია (მაჭავარიანი). ფირცხალავა, ქარსელაძე, (მალიჩავა, ერემეშვილი).

გოლები: 0-1 კრისტია (1), 0-2, 0-3, 0-4 ოპრია (9, 17, 59), 0-5 კრისტია (70).

გაძევება: მარცვალაძე

საბოლოო მდგომარეობა

რუმინეთი	2	2	0	0	9-0	6
საქართველო	2	1	0	1	1-5	3
ალბანეთი	2	0	0	2	0-5	0

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	კ.
მზიური	4	4	0	0	15-4	12
ლაზიკა	4	2	1	1	13-9	7
სკეტი	4	2	1	1	5-4	7
კოლხეთი2	4	2	0	2	5-4	6
მერცხალი	4	1	2	1	6-5	5
ინტერი	4	1	2	1	5-4	5
სალხინო	4	1	2	1	7-7	5
გურია2	4	1	2	1	5-8	5
დინამო (ბთ)	4	1	1	2	8-6	4
სამეგრელო	4	1	1	2	3-7	4
სულორი	4	1	0	3	6-15	3
დინამო (სხ)	4	0	2	2	3-8	2

სულხან იაშვილი: „მე ვაგრძელებ ფეხბურთის წესებში ცვლილებების შეტანას“

ალბათ, იცანით, სულხან იაშვილი რუდი ფილერთან ერთად გადალებული ჟაჟოშელ ცოტნესთან ერთად.

პროფესორი სულხან იაშვილი ქართულ ფეხბურთში მიღებული კაცია. თქმა არ უნდა, მას ფეხბურთის სიყვარული ძალუძა და რბილში აქვს გამჯდარი და სპორტის ამ სახეობის ნოვატორის სახელიც მოიხვეჭა. რამდენიმე წლის წინათ, იაშვილმა ფიფას წერილით მიმართა: „ფეხბურთის თამაშის წესები ცვლილებებს საჭიროებს. რომ იგი უფრო დინამიური და სანახაობრივად საინტერესო გახდეს, ავუკრძალოთ შეკარეს თავისი გუნდის ფეხბურთელებისაგან ფეხით დაბრუნებული ბურთის ხელში აღება.“ მაშინ ამ წესის (ცვლილების) წარდგენისათვის იაშვილმა ფიფას პრეზიდენტის სამადლობელი წერილი მიიღო. მასში ვკითხულობთ: „დიდი თქვენი პირადი წვლილი მსოფლიო ფეხბურთის განვითარებაში... თქვენ ფეხბურთის თამაშის წესების დახვეწის პიონერი ხართ.“ 55 წლის სულხან იაშვილი მოელ თავისუფალ დროს ფეხბურთის ისტორიის, სტატისტიკის და თეორიის საკითხებს უთმობს. ამ დღეებში იგი ჩვენი გაზეთის რედაქციას ესტუმრა და საინტერესო იდეები გაგვიზიარა.

— ჩემი ახალი წინადადება შეეხება თავით თამაშში თამაშგარე მდგომარეობის წესის გაუქმებას. იდეის აზრი ასეთია: თუ ფეხბურთელმა, რომელიც არ იმყოფება თამაშგარე მდგომარეობაში, თავით გადაადწოდა ბურთი პარტნიორს, რომელიც თამაშგარე მდგომარეობაშია, ამ უკანასკნელის პოზიცია არ უნდა ჩაითვალოს წესების დარღვევად და ამ შემთხვევაში თამაში უნდა გაგრძელდეს.

სულხან იაშვილი და მისი პატარა ცოტნე — „ლეგენდარულ ბრაზილელებთან — რონალდოსთან და ემერსონთან.

● *რას გვაძლევს ეს სიახლე?*

— პირველ ყოვლისა, გაიზრდება გუნდების შეტევითი პოტენციალი, ცხადია, შედეგიანობაც ამაღლდება. ფეხბურთი უფრო დინამიური გახდება, გაიცლებით იკლებს სათამაშო პაუზები. უფრო გაუადვილდებათ საქმე მსაჯებსაც. საერთო ჯამში, ჩემი წინადადების დანერგვით ფეხბურთი გაცლებინთ სანახაობრივი გახდება.

● *კიდევ რა წინადადებებს გთავაზობთ?*

— შემდეგი ცვლილება შეეხება რომლის მოთამაშე გაძევებულია, 15 წუთი თამაშეს რიცხობრივ უმცირესობაში და მხოლოდ ამ დროის განმავლობაში ეკრება მოწინააღმდეგე გუნდს რიცხობრივი უპირატესობა.

● *რას მოგვაგონებ ეს ცვლილება?*

— ბოლო ხანს მსოფლიოსა თუ კონტინენტური ჩემპიონატების, საკლუბო ტურნირების მატჩებში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ მოთამაშის მინდვრიდან გაძევებინი, ერთ გუნდს მეორეზე დიდი უპირატესობა ეძლევა. ასეთ პირობებში მატჩის შედეგი თითქმის გადაწყვეტილია, თამაშს გარკვეულწილად აზრი ეკარგება, გაიცლებით ეცემა მისი სანახაობრივი მხარე. ერთი გარემოებაც, ასეთ ვითარებაში დიდ დატვირთვებს, მორალურ და ფიზიკურ წნეხს განიცდიან ფეხბურთელები.

აქვე საჭიროა აღინიშნოს, ჩემი აზრით, მოქმედი წესის მეორე, ძალიან უარყოფითი მხარე, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ მინდვრიდან გაძევებული მოთამაშის გუნდის სხვა წევრიც იმსახურებს ასეთივე სასჯელს, მსაჯები შეგიბრუნად თავს არიდებენ ამას — თამაშს ხომ არ გავიფუჭებთო! აქედან გამომდინარე, მოთამაშის მინდვრიდან გაძევება მისი შეცვლის უფლებით 15 წუთის შემდეგ, ოპტიმალური სასჯელია. ჯერ ერთი, მინდვრიდან გადის ძირითადი მოთამაშე და გარკვეული პერიოდის შემდეგ შემოდის სარეზერვო ფეხბურთელი. მეორეს მხრივ, მსაჯები აღარ დაფუძნ[illegible] შემდეგ ღარღვევებზე და სხვა ფეხბურთელებსაც დასჯიან წითელი და ყვითელი ბარათებით, ე.ი. გზა ეღობება უხეშ თამაშს, მის წინააღმდეგ უკვე თამამად გამოიყენებენ სასჯელს.

● *ამ წესის შემოღებით, როგორ მოხდება გაძევებული ფეხბურთელის საჭირო დროის განსაზღვრა? და კიდევ, ვთქვათ, მინდვრიდან გაძევება თამაშის დასრულებამდე 7-5 წუთით ადრე მოხდა, როგორ მოგიქცევთ ამ შემთხვევაში?*

— არსებობს ორი გზა. პირველი — როცა საჭირო დრო ფეხბურთელს გადაეცა შემდეგ მატჩზე. მეორე — ეს ფეხბურთელი შემდეგ მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

● *რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გარდა ზემოთქმულისა, თქვენ თამაშის წესებთან დაკავშირებით სხვა მოსაზრებებიც გაქვთ.*

— სასურველი იქნებოდა, საჯარიმო და გასათამაშებელი დარტყმის შესრულების დროს „ცოცხალი კედლის“ (მოთამაშეთა) ლიმიტის შემოღება. „კედელში“ შეიძლება იდგეს არაუმეტეს სამი მოთამაშისა.

● *ბატონო სულხან, თქვენ სტატიანი გულშემატკივარი ბრძანდებით, რა აზრის ხართ ქართული ფეხბურთის დღეს შექმნილ ვითარებაზე?*

— ქართული ფეხბურთი ჩემთვის თბილისის „დინამოთი“ იწყება. ცხადია, ამ კლუბში დღეს შექმნილი ვითარება ყველას გვაღელვებს. მჯერა ახალგაზრდა მწვრთნელის რეზო არგელაძისა. იგი უთუოდ შეძლებს ვეტერანი ფეხბურთელების (ცხადაც, შელია, კიკნაძე და ა.შ.) და ახალგაზრდების ერთ გუნდად „შეკვრას“ და შორს არაა ის დრო, როცა „დინამო“ ძველ დიდებას დაიბრუნებს.

ვსარგებლობ შემთხვევით, მინდა მოკვუწოდო „დინამოს“ ხელმძღვანელებს ალადგინონ გუნდის ტრადიციული ფორმა (ცისფერი თეთრზოლიანი მისური, ცისფერი ტრუსები და გეტრები. კარგი იქნება, თუ მაისურზე აღინიშნება ქართულად „დ“ ასო და დაიწერება გუნდის დაარსების თარიღი — 1925 და სახელწოდება — თბილისის „დინამო“. დამეკრწმუნეთ, ეს არ არის წვრილმანი, ამას მეტად დიდი მორალური და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. გული მტკივა, როცა ვუყურებ ნორჩ ქართველ ფეხბურთელებს — ისინი გამოწყობილები არიან „იუვენტუსის“, „ინტერის“, „ლაციოს“ „მილანის“, „მანჩესტერის“, „რეალისა“ თუ „ბარსელონასა“ ფორმებში და არა თბილისის „დინამოსი“. სხვათა შორის, 1998 წელს, ბილბაოს „ატლეტიკოსნ“ მატჩზე ჩამოსულმა ბასკმა ჟურნალისტებმა და გულშემატკივრებმა თბილისის მაღაზიებში მოიკითხეს „დინამოს“ ფორმა — სუვენირად გვინდა წავიღოთო, მაგრამ... ვერსად მიაკლეს. ვითომ წვრილმანია?

ესაუბრა
ჯემალ ბიაშვილი

არეცოს კოშმარს გადავრჩით და ამაში მსაჯი და მეჭოქე დაგვეხმარა

ქ. ფერმო. სტადიონი „ფუნციპალი“. 5 500 მაყურებელი. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: იტალია — საქართველო 3–2

იტალია: როსი, ტროიზე, მორა (ბელინი, 65), ოლივი, ფერარი, კორენტი (მაკარონე, 51), მარკონი, პინარი, კასანი (ბრიჯი, 58), მარესკა, კოლომბო.

საქართველო: ლომაია, ქემოკლიძე, საჯაია, წერეთელი, ბილაური (დეკიძე, 72), შაშიაშვილი, კვარაცხელია, ასათიანი (იმედაძე, 40), გვაზავა (დიდმელაშვილი, 64), ზიტაიშვილი, მელქაძე.

გოლები: 1-0 პინარდი (81), 2-0 (კასანო, 25, პენ.), 3-0 მარესკა (38), 3-1 წერეთელი (82, პენ.), 3-2 (მელქაძე (90).

გაფრთხილება: კვარაცხელია.

მსაჯი: ლეონზოს ლიზიუ (კვიპროსი).

ათი წლის წინათ ქართველი იაფდფრთწამფდელები უსაბელოდ (0-6) დამარცხდნენ იტალიელ თანატოლებთან და ეს არეცოში მოხდა. ახლა, ფერმაში დიდ სირცხვილს, როგორიც მატჩის შედეგიდან ჩანს, გადავურჩით და მხოლოდ ერთი გოლის სხვაობით დავმარცხდით. თუმცა, ეიფთი ობიექტურნი — ანგარიში სრულებითაც არ ასახავს მატჩის მსვლელობას. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში მოთამაშეს საქმე და შესვენებამდეც უკვე 3-0-ს იგებდნენ. ყოველივე არეცოს კოშმარის განმეორებას მოასწავებდა. საბედნიეროდ, ამჯერად ასე არ მოხდა და ამაში მეტოქე გუნდი და მსაჯი დგებეშმარა: მეორე ტაიმში იტალიელი ფეხბურთელები აშკარად „აუფლიცაზე თამაშობდნენ“, ბურთის დაკერის მიღელი არსენალი აჩვენეს — შედეგად ქმაყოფილები ვართ, მეტს ალარ გაგიტანთ, ალბილ, თქვენც ნუ შეგაწუხებთო.

ჩვენებიც, თითქოს შეგვუენ ამ ანგარშს. და მაინც ცდამანც თავი არ გამოუფიათ კონტრთამაშის შესაქმნელად. და აქ მოულოდნელად, სტუმრების კეკროსელი არბიტრი ლეონზოს ლიზიუ წყობაზა: იტალიელთა საჯარიმოში მარცხნიდან შეჭრილ იმედაძეს ოლივი დაუხვდა. ქუთაისელი ფორვარდი დაეცა და ჩვენდა გასაბარად მსაჯმა წესების დარღვევა დაფიქსირა, თუმცა, პენალტი უფრო ჰუმანიტარულ დახმარებას ჰგავდა.

რეალიზებული პენალტის შემდეგ ქართველებმა მეორედაც დალაშქრეს იტალიელთა კარი: კუფუტრიდან ჩაწოდებულ მაღალ ბურთს მელქაძემ შეაგება თავური — 3-2. არბიტრის საფინალო სასტვენმაც არ დაასნა. კვლავ ეუსუფური თამაში და უარყოფითი შედეგი.

ლიტვასა და იტალიაში ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა იმდენად ცუდად იითამაშა, ვფიქრობთ, დაღგა ეამი სერიოზული განსჯისა.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატების შესარჩევი ბრაწირი

პირველი ჯგუფი

სლოვენია — შვეიცარია 1-1						
რუსეთი — ლუქსემბურგი 2-0						
	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სლოვენია	2	1	1	0	5-1	4
შვეიცარია	2	1	1	0	3-1	4
იუგოსლავია	1	1	0	0	3-0	3
რუსეთი	2	1	0	1	3-3	3
ლუქსემბურგი	3	0	0	3	1-10	0

მეორე ჯგუფი

ჰოლანდია — პორტუგალია 1-1						
პორტუგალია	3	2	1	0	7-3	7
ჰოლანდია	3	2	1	0	4-1	7
კვიპროსი	1	0	0	1	0-1	0
